საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი 19 დეკემბერი 2014 წელი

განკარგულება N 98

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღობილევში მგზავრთა მოსაცედელის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების (3600 (სამიათასექვსასი) ლარის ღირებულების), დაბა ლაითურში ნარუჯა-ლაითურის საავტომობილო გზისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები 6000 (ექვსიათასი) ლარის ღირებულების და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (90 000 (ოთხმოცდაათიათასი) ლარის ღირებულების) სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს N3 დადგენილებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14).

მუხლი3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **დავით დარჩია**